



## ს დ ა ს უ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის

უნივერსიტეტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში, უნივერსიტეტი) წინამდებარე დებულება არის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესის, უნივერსიტეტის მართვის პრინციპებისა და წესების განმსაზღვრელი ძირითადი ნორმატიული აქტი.
2. საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. უნივერსიტეტის სტატუსი

1. უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით ჩამოყალიბებული კერძო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.
2. უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა: შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი.“ უნივერსიტეტის შემოკლებული სახელწოდებაა „სდასუ“. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 25.

მუხლი 3. უნივერსიტეტის მისია

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მისია გამოხატულია მისი სწრაფვით, შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს და, იმავდროულად, განასახიერებდეს საუკეთესო ეროვნულ ტრადიციებს, ანუ, თავისი არსით, იყოს ქართულიც და ევროპულიც.

უნივერსიტეტი ორიენტირებულია დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე, არა მხოლოდ მაღალკვალიფიციური კადრების, არამედ ზნეობრივად სრულყოფილ, ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალულ, დემოკრატიულ ღირებულებებთან ნაზიარებ პიროვნებათა აღზრდაზე, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარებას.

ამ მისიას შეესაბამება უნივერსიტეტის მიზანი – შექმნას პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ყველა პირობა, ამასთანავე, ყოველმხრივ წახალისოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობა.

უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები და შესაბამისი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი ემსახურება დაინტერესებული პირებისათვის თანამედროვე მოთხოვნათა შესატყვისი, მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზებას, სტუდენტის პიროვნული პოტენციალის განვითარებას, თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, შიდა და საგარეო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების აღზრდას.

საზღვარგარეთის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა მიზნად ისახავს ქართული მეცნიერების განვითარების ხელშეწყობასა და ახალი სამეცნიერო კადრების მომზადებას.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ, დასაქმდნენ საჯარო თუ არასამთავრობო დაწესებულებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, კერძო სექტორში, შეავსონ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა რიგები, ახალი სიტყვა თქვან მეცნიერებაში და ამით საკუთარი წვლილი შეიტანონ ქართული სახელმწიფოს განვითარებაში.

#### მუხლი 4. უნივერსიტეტის მიზნები

უნივერსიტეტის მიზნებია:

- ა) საუნივერსიტეტო განათლებისა და სამეცნიერო კვლევების განვითარება;
- ბ) მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება;
- გ) უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსების, სამეცნიერო კვლევების განხორციელება;
- დ) უნივერსიტეტის ინტეგრაცია მსოფლიო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში, საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება;
- ე) სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა;
- ვ) უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარება.

## თავი II. უნივერსიტეტის მართვა

### მუხლი 5. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და სტრუქტურული ერთეულები

#### 1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია:

- რექტორი;
- აკადემიური საბჭო;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

#### 2. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებია:

- ძირითადი სტრუქტურული ერთეულები – სკოლები;
- დამხმარე სტრუქტურული ერთეულები:  
უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია:
- რექტორის აპარატი (რექტორის მოადგილე, რექტორის მოადგილე სამედიცინო დარგში, რექტორის თანაშემწე);
- სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;
- საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ბიბლიოთეკის სამსახური;
- იურიდიული სამსახური;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური;
- საფინანსო სამსახური;
- სამეურნეო-ტექნიკური რესურსების სამსახური;
- კანცელარია;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების ცენტრი;
- სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი.
- მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია:
- დამოუკიდებელი საგანმანათლებლო-სამეცნიერო ერთეული (ექიმთა დიპლომისშემდგომი განათლების ქართულ-ინგლისური სტომატოლოგიური ინსტიტუტი);
- პირველადი სამედიცინო დახმარების ცენტრი;
- ვირტუალური სიმულაციების ლაბორატორია;
- სამართლის სკოლის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია:
- იურიდიული კლინიკები;
- კრიმინალისტიკური ლაბორატორია;
- მედიის სკოლის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია:
- უნივერსიტეტის ტელერადიო მაუწყებელი სდასუ-TV და სდასუ - RADIO;
- სკოლების საგანმანათლებლო-სამეცნიერო ერთეულები (საპროფესოროები).

#### 3. სკოლების მართვის ორგანოებია სკოლის საბჭო და დეკანი.

4. მართვის ორგანოები, ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ ამ დებულების და შესაბამისი ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებების / მათი საქმიანობის მარეგულირებელი სხვა აქტების საფუძველზე. მათ აარსებს ან აუქმებს უნივერსიტეტის რექტორი.

#### მუხლი 6. უნივერსიტეტის მართვის პრინციპები

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

ა) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას;  
ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში;

გ) თანასწორ მოპყრობას, განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;

დ) არჩევნებისა და კონკურსების სამართლიანობას, გამჭვირვალობას, საჯაროობას.

2. უნივერსიტეტში არ დაიშვება რომელიმე პოლიტიკური პარტიის თუ გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის არსებობა.

#### მუხლი 7. აკადემიური საბჭო

1. უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო, რომელიც თავის საქმიანობას განახორციელებს წინამდებარე დებულებისა და აკადემიური საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე.

2. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – რექტორი და აკადემიური საბჭოს წევრები, რომლებიც აირჩევიან სკოლების მიერ.

#### მუხლი 8. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების ძირითად მიმართულებებსა და სტრატეგიულ გეგმას, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ავტონომიასა და მეცნიერების ინტეგრაციას;

ბ) სკოლების წარდგინებით, ამტკიცებს სკოლების განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) უზრუნველყოფს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევებისათვის სათანადო პირობების შექმნას;

დ) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობას, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის გაფართოებას;

- ე) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის დებულებას, აკადემიური საბჭოს რეგლამენტს, დოქტორანტურის სტანდარტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებას, ამტკიცებს სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, მათი საქმიანობის მარეგულირებელ სხვა აქტებს, სასწავლო პროცესის რეგულირების წესს, უნივერსიტეტის შინაგანაწესს, ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებებს;
- ვ) ადგენს აკადემიური თანამდებობის დაკავების წესს;
- ზ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით, ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო – კვლევითი მუშაობის შეფასების წესს;
- თ) სკოლის წარდგინების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ;
- ი) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 9. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მუშაობის წესი**

1. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს მდივანი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას.
2. აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი.
3. აკადემიური საბჭო იკრიბება თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. აკადემიური საბჭოს სხდომა მოიწვევა რექტორის ინიციატივით ან აკადემიური საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის მოთხოვნით.
4. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით.
5. აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ ფორმდება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.
6. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების გადასინჯვის ან გაუქმების უფლება აქვს უნივერსიტეტის რექტორს, თუ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

**მუხლი 10. აკადემიური საბჭოს არჩევის წესი**

1. აკადემიური საბჭოს არჩევნები ტარდება სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვით.
2. აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან სკოლების აკადემიური პერსონალის ყველა

წევრისა და სკოლის საბჭოს წევრ სტუდენტთა (სკოლის საბჭოს) მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ღია კენჭისყრით. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მას ესწრება სკოლის საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. აკადემიურ საბჭოში თითოეული სკოლიდან აირჩევა მაქსიმუმ 2 წევრი.
4. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
5. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა განისაზღვრება 3 წლით.

#### მუხლი 11. უნივერსიტეტის რექტორი

1. რექტორი არის უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელსაც ნიშნავს უნივერსიტეტის გენერალური დირექტორი, აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით.
2. რექტორი არის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს უნივერსიტეტს ქვეყნის შიგნით და გარეთ ურთიერთობებში, რისთვისაც უფლებამოსილია უნივერსიტეტის სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები. რექტორი განახორციელებს უნივერსიტეტის საერთო ხელმძღვანელობას და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს.
3. რექტორი მოქმედებს წინამდებარე დებულებისა და აკადემიური საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად.

#### მუხლი 12. უნივერსიტეტის რექტორის უფლებამოსილება

1. აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორის მოადგილეების კანდიდატურებს;
2. ანაწილებს ფუნქციებს რექტორის მოადგილეებს შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს მათზე თავისი უფლებამოსილების დელეგირებას;
3. კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირებსა და ურთიერთობებს;
4. ახორციელებს საერთო კონტროლს საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმების შესრულებაზე;
5. ახორციელებს სასწავლო პროცესის ხარისხის საერთო კონტროლს;
6. ამტკიცებს კოეფიციენტებს, მისაღებ კონტინგენტს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, საერთო სამაგისტრო გამოცდებისათვის, განსაზღვრავს სწავლის საფასურს;
7. გამოსცემს სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს;
8. ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს;
9. შესაბამისი სკოლის წარდგინების საფუძველზე, სახელობით სტიპენდიებს ნიშნავს წარჩინებული სტუდენტებისათვის;

10. ნიშნავს და ათავისუფლებს შესაბამის თანამდებობაზე პერსონალს;
11. ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

### მუხლი 13. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, აგრეთვე, მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხი ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას. ამ მიზნით, იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს წინამდებარე დებულებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.
3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:
  - ა) ხელს უწყობს უნივერსიტეტის ინტეგრაციას უმაღლესი განათლების საერთო ევროპულ სივრცეში და ბოლონის პროცესის პრინციპების განხორციელებას;
  - ბ) ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით;
  - გ) ახორციელებს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებებს;
  - დ) პერიოდულად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესებისათვის;
  - ე) მონაწილეობს სტუდენტთა მობილობის რეგულირების პროცესში;
  - ვ) მონაწილეობს ECTS სისტემის სწორი გამოყენების რეგულირების პროცესში;
  - ზ) უზრუნველყოფს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებისათვის თვითშეფასების მომზადებას;
  - თ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.
4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

### თავი III. უნივერსიტეტის სკოლები

#### მუხლი 14. სკოლები

1. უნივერსიტეტში ექვსი სკოლაა:
  - ა) მედიცინისა და სტომატოლოგიის;
  - ბ) სამართლის;
  - გ) ეკონომიკისა და ბიზნესის;
  - დ) მედიის;
  - ე) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა;

ვ) სოციალურ მეცნიერებათა.

2. გადაწყვეტილებას სკოლის შექმნის ან გაუქმების შესახებ იღებს რექტორი.

3. სკოლების შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს სასკოლო მნიშვნელობის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.

მუხლი 15. სკოლის საბჭო

1. სკოლის საბჭო არის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს სკოლის მართვას.

2. სკოლის საბჭოს შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სკოლის აკადემიური პერსონალის წევრები და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

3. სკოლის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება სკოლის დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

მუხლი 16. სკოლის საბჭოს უფლებამოსილება

სკოლის საბჭო:

ა) განსაზღვრავს სკოლის საქმიანობის ძირითად მიზნებს, მიმდინარე ამოცანებსა და საქმიანობის პრიორიტეტებს;

ბ) შეიმუშავებს წინადადებებს სკოლის აუცილებელ ხარჯებთან დაკავშირებით და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

გ) დეკანის წარდგინებით, შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით, შეიმუშავებს სკოლის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ე) დეკანის წარდგინებით, შეიმუშავებს სკოლის, სკოლის საბჭოს, სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ვ) აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ან აღიარებულ მეცნიერს საპატიო დოქტორის წოდების მისანიჭებლად;

ზ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 17. სკოლის დეკანი



1. სკოლის ადმინისტრაციული ხელმძღვანელია დეკანი, რომელიც თავმჯდომარეობს სკოლის საბჭოს სხდომებს და წარმართავს სკოლის მიმდინარე საქმიანობას.
2. სკოლის დეკანს, სკოლის საბჭოსთან შეთანხმებით, ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

#### მუხლი 18. სკოლის დეკანის უფლებამოსილება

სკოლის დეკანი:

- ა) მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დამოუკიდებლად განსაზღვრავს სკოლის მიმდინარე საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
- ბ) წარმოადგენს სკოლას და სკოლის საბჭოს უნივერსიტეტის შიგნით და გარეთ;
- გ) სკოლის საბჭოს განსახილველად წარუდგენს სკოლის სტრუქტურასა და დებულებას;
- დ) სკოლის საბჭოს განსახილველად წარუდგენს სკოლის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
- ე) სკოლის საბჭოს განსახილველად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებებს;
- ვ) კოორდინაციას უწევს სკოლაში მიმდინარე სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
- ზ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლაში მიმდინარე სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით;
- თ) უზრუნველყოფს სკოლაში სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას;
- ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს, უნივერსიტეტის რექტორის, აგრეთვე სკოლისა და სადისერტაციო საბჭოების გადაწყვეტილებათა შესრულებაზე;
- კ) განსაზღვრავს სკოლის საკომუნიკაციო პოლიტიკას;
- ლ) განიხილავს და უპასუხებს სკოლის საბჭოში შემოსულ განცხადებებს, პრეტენზიებსა და საჩივრებს;
- მ) ახორციელებს სკოლაში განცხადებით შემოსულ პირთა მიღებას;
- ნ) მეთვალყურეობს და ზედამხედველობს სკოლაში დასაქმებულთა მიერ უფლებამოსილებების განხორციელებას, ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებასა და უნივერსიტეტის შინაგანაწესის დაცვას;
- ო) უშუალოდ ხელმძღვანელობს სკოლის დამხმარე პერსონალის საქმიანობას;
- პ) უშუალოდ ხელმძღვანელობს სკოლის შემადგენლობაში შემავალ დამხმარე სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;
- ჟ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

#### მუხლი 19. სკოლის სადისერტაციო საბჭო

1. სკოლის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.
2. სკოლის სადისერტაციო საბჭო შედგება სკოლის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნას დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი.
3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან გააფორმოს ხელშეკრულება დოქტორანტურის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.
4. სკოლის სადისერტაციო საბჭო მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე დებულების, დოქტორანტურის სტანდარტის, სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებისა და სხვა აქტების შესაბამისად.

#### თავი IV. უნივერსიტეტის პერსონალი

##### მუხლი 20. უნივერსიტეტის პერსონალი

უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები.

##### მუხლი 21. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.
2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.
  - 2.1 პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
  - 2.2 ასოცირებული პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო -კვლევით მუშაობას;
  - 2.3 ასისტენტ-პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო - კვლევით პროცესში;
3. ასისტენტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით

სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

4. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.

მუხლი 22. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;
2. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი ცხადდება რექტორის ბრძანებით;
3. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. კონკურსის ჩატარების თარიღი, პირობები და კონკურსთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (აკადემიური თანამდებობების ვაკანსიების რაოდენობა, კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი საბუთების ჩამონათვალი, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა) განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

მუხლი 23. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი აკადემიური თანამდებობისათვის უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ პირობებს:

1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები.
2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით.
4. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით.
5. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა ხდება 5 წლის ვადით.

მუხლი 24. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლა;
- გ) შრომის შინაგანაწესით ან შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;
- დ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

მუხლი 25. აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობები

აკადემიურ პერსონალთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება, რომელიც განახლდება თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლამდე, ყოველ ახალ სასწავლო სემესტრში.

მუხლი 26. საპატიო დოქტორის წოდება

საპატიო დოქტორის წოდება შეიძლება მიანიჭოს აკადემიურმა საბჭომ, სადისერტაციო საბჭოს/სკოლის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 27. აკადემიური პერსონალის უფლებები

აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

- ა) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში;
- ბ) დამოუკიდებლად განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსები) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;
- დ) განახორციელოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებები.

მუხლი 28. აკადემიური პერსონალის ვალდებულებები

აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

- ა) დაიცვას უნივერსიტეტის დებულების მოთხოვნები;
- ბ) დაიცვას შრომის შინაგანაწესის მოთხოვნები;
- გ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

მუხლი 29. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, რექტორის მოადგილეები, სკოლების დეკანები და მათი მოადგილეები, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
2. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება სამტატო განრიგით გათვალისწინებული, უნივერსიტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები.
3. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი.
4. მასწავლებელი უფლებამოსილია, გაუძღვეს სამუშაო ჯგუფში, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.
5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, ამ დებულებით გათვალისწინებული აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

#### თავი V. სტუდენტი

მუხლი 30. უნივერსიტეტში სტუდენტად მიღება

უნივერსიტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის შესაბამისად განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.

მუხლი 31. სტუდენტის უფლებები

1. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:
  - 1.1 მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობდეს მეცნიერულ კვლევაში;
  - 1.2 უნივერსიტეტის შინაგანაწესით და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
  - 1.3 აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;
  - 1.4 მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
  - 1.5 პერიოდულად შეაფასოს აკადემიური პერსონალის მუშაობა;
  - 1.6 საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ

თვითმმართველობაში, ასევე უნივერსიტეტის და შესაბამისი სკოლის მართვის ორგანოებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების შესაბამისად;

- 1.7 საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით სწავლების მეორე წლიდან ისარგებლოს მობილობის უფლებით;
- 1.8 პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება;
- 1.9 უფლებამოსილი პირისაგან მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე; მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგი; მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სდასუ-ში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;
- 1.10 განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

2. უნივერსიტეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის აწესებს შეღავათებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, რაც შეიძლება გამოიხატოს მათთვის სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის თუ სხვა შეღავათების დადგენაში.

### მუხლი 32. სტუდენტის ვალდებულებები

1. უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია:
  - 1.1 უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის სასწავლო კურსი, რომლის სწავლება სავალდებულოა და რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია;
  - 1.2 დაიცვას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდება და შინაგანაწესი;
  - 1.3 დაიცვას და შეასრულოს სდასუ-სთან დადებული ხელშეკრულების პირობები;
  - 1.4 დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები.

### მუხლი 33. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობა

სტუდენტის დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სდასუ-ს ეთიკის კოდექსითა და შრომის შინაგანაწესით.

#### მუხლი 34. სტუდენტური თვითმმართველობა

1. უნივერსიტეტში ფარული კენჭისყრით, საყოველთაო და თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება სკოლების მიხედვით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობა.
2. სკოლებში არჩეული სტუდენტური თვითმმართველობების ერთობლიობა წარმოადგენს უნივერსიტეტის თვითმმართველობას, რომელიც შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.

#### მუხლი 35. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება უნივერსიტეტსა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
  - 2.1 სტუდენტის პირადი (თუ სტუდენტი არასრულწლოვანია - კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება სტატუსის შეჩერების შესახებ (მიზეზის მითითების გარეშე);
  - 2.2 ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
  - 2.3 უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
  - 2.4 უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევა;
  - 2.5 უნივერსიტეტს მიმართ ფინანსური დავალიანება;
  - 2.6 სემესტრის განმავლობაში სასწავლო კომპონენტში 10 კრედიტზე ნაკლების დაგროვება;
  - 2.7 სტუდენტის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი ან/და აღმკვეთი ღონისძიების (5 წელზე ნაკლები ვადით თავისუფლების აღკვეთა) შერჩევა, რაც შეუძლებელს ხდის მის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის გაგრძელებას.
- 2.8 სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.
- 2.9 სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.
- 2.10 ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ აისახება ცენტრის სტუდენტურ რეესტრში.

### მუხლი 36. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

36.1 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია: სტუდენტის პირადი (თუ სტუდენტი არასრულწლოვანია - კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება; სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა; მობილობის წესით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა; საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება; საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა (საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ერთი და იგივე სავალდებულო სასწავლო კურსის / კომპონენტის სამჯერ გავლა და კრედიტის ვერ მიღება; აკადემიური დავალიანება, რომელიც ვერ იქნება დაძლეული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელებისთვის გათვალისწინებულ ვადაში (დამატებით სემესტრებში); სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების (ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა) ჩადენა; სტუდენტის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5 წელზე მეტი ვადით; პირის გარდაცვალება და კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

36.2 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით; სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

36.3 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველები (პირადი განცხადება, პლაგიატი და სხვა) განსაზღვრულია შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით. დოქტორანტისთვის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭო.

36.4 ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ აისახება ცენტრის სტუდენტურ რეესტრში.



## თავი VI. განათლების საფეხურები

### მუხლი 37. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურები

1. უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების მიღება შეიძლება ერთსაფეხურიანი, ორსაფეხურიანი და სამსაფეხურიანი სწავლების საფუძველზე.
2. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურებია:
  - ა) პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს;
  - ბ) მეორე საფეხური (მაგისტრატურა) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს;
  - გ) მესამე საფეხური (დოქტორანტურა) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს.
3. ერთსაფეხურიანი სწავლება ხორციელდება სამედიცინო განათლების პროგრამებზე (სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლება), რომელიც მოიცავს არანაკლებ 360/300 კრედიტს.

## თავი VII. აკადემიური ხარისხი

### მუხლი 38. აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. აკადემიურ ხარისხს უნივერსიტეტი ანიჭებს პროგრამის სავალდებულო კომპონენტების დაძლევის და დაგროვილი კრედიტების იმ რაოდენობის საფუძველზე, რომელიც საკმარისია სწავლების მოცემული საფეხურის დასასრულებლად.
2. განათლების ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ, სდასუ გასცემს სათანადო დიპლომს სტანდარტული დანართით.

## თავი VIII. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

### მუხლი 39. უნივერსიტეტის დებულების მიღების, შეცვლისა და გაუქმების უფლებამოსილება

უნივერსიტეტის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ, სხდომაზე დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტით. სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება აკადემიური საბჭოს სრული შემადგელობის ნახევარზე მეტი.